

საფეხბურთო ცინიზმი "დინამოს" მაისურით

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 30 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "ზენიტი" (ლენინგრადი) 1:2 (1:0).

"დინამო": აბუსერიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, ჯოხაძე, კაკილაშვილი (გურული), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა (ჟვანია), შენგელია.

"ზენიტი": ბირიუკოვი, დავიდოვი, სტეპანოვი, კუზნეცოვი, ზახაროვი, ლარიონოვი (ივანოვი), დოლგოპოლოვი, დმიტრიევი, გერასიმოვი, მელნიკოვი, ჩუხლოვი.

მსაჯი: ვ. დორონინი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს: შენგელიამ (7 წ.), მელნიკოვმა (57) და დმიტრიევმა (88).

გააფრთხილეს მელნიკოვი.

დუბლიორები 1:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ლოგუამ.

წინა მატჩის ანგარიშში ითქვა, რომ გამწვანებულ პირობებში თბილისის დინამოელებს განსაკუთრებით უჭირთ თამაში, რაც პირველ ყოვლისა ფეხბურთელთა ცუდ ფიზიკურ მომზადებაზე მიანიშნებს. "ზენიტთან" შეხვედრაში ეს მოსაზრება დადასტურდა, უფრო საფუძვლიანი გახდა. მართალია, ამჯერად მასპინძლებს არც ამინდი და არც მინდორი არ უშლიდა ხელს, მაგრამ ის, რომ გუნდს მეორე ტაიმში აშკარად არ ეყო ძალა, ისევ ზემოხსენებულ ნაკლზე ლაპარაკობს. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა ტრიბუნიდან და ეს შთაბეჭდილება რომ მხოლოდ ვიზუალურ დაკვირვებაზე არ არის დამყარებული, სავსებით მარტივი ტექნიკური მონაცემებითაც ჩანს: პირველ ტაიმში "დინამომ" მეტოქის კარისკენ 15-ჯერ დაარტყა (12-ჯერ საჯარიმოს გარედან), კარის გასწვრივ 5-ჯერ ჩააწოდა ბურთი. მეორე ტაიმის შესაბამისი მაჩვენებლები 1 და 2-ია. ის ერთადერთი დარტყმა საჯარიმოს გარედან შესრულდა და თან არაზუსტიც იყო. ამ თვალსაზრისით "ზენიტი" თამაშის პირველ ნახევარში საკმაოდ ჩამორჩა მასპინძლებს. მეორე ტაიმში კი აშკარად აჯობა. რა თქმა უნდა, ასეთი არითმეტიკა ფეხბურთში გადამწყვეტი არ არის, მაგრამ თამაშის ერთგვარ სურათს მაინც ქმნის. მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ეს სურათი ჩვენს სასარგებლოდ ბევრს ვერაფერს მეტყველებს.

შეიძლება ამით დაგვემთავრებინა კიდევ საუბარი, გვეთქვა, რომ "დინამოს" ფიზიკური მომზადება არ ჰყოფნის, ამით გაგვემართლებინა ან ამისთვის დაგვებრალებინა ყველაფერი, შედეგად თავისთავად გამოიკვეთებოდა მიზანიცა და მომავალში გასაკეთებელი საქმეც. შეიძლება, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ყველა ჩვენი პრობლემა ასე მარტივი და ერთსახოვანი იყო.

დავიწყოთ სულ თავიდან.

თბილისის "დინამოს" დღევანდელ შემადგენლობას ჩემპიონატის 26 მატჩში 19 ქულის მოგროვებისთვის, დარწმუნებული ვართ, სრულებითაც არ ესაჭიროება რაიმე განსაკუთრებული ტაქტიკა, ან განსაკუთრებული მწვრთნელი. გუნდში საკმაოდ არიან იმ დონის ფეხბურთელები, რომლებიც ძალდაუტანებლად გადაწყვეტენ იმ ელემენტარულ საფეხბურთო ტაქტიკურ ამოცანებს, რაც, ვიმეორებ, "დინამოს" დღევანდელ შემადგენლობას ქულების 50 პროცენტის მოგროვებას მაინც შეაძლებინებდა. ასე რომ, რაღაც ზეზუნებრივ საფეხბურთო აზროვნებაზე საუბარი, ვფიქრობ, ზედმეტია. ამგვარი შედეგის მისაღწევად ტექნიკური მომზადებაც სავსებით საკმარისი აქვთ გუნდის წევრებს - ქართულ ფეხბურთს ეს კომპონენტი არასდროს აკლდა და არც ახლა აკლია. რჩება ორი რამ: ფიზიკური კონდიციები და თამაშის სურვილი. აი აქ კი, სიმართლე გითხრათ, ძნელი დასადგენია: გუნდი არასაკმარისად ვარჯიშობს და ამიტომ ვერ თამაშობს, თუ არ სურს თამაში და ამიტომ არ ვარჯიშობს. ეს ერთობ საჩოთირო საკითხია და, ყველა დამეთანხმება, რომ მისი გაშიფვრა თუ გარკვევა სპორტული ჟურნალისტის კომპეტენციას, მის შესაძლებლობებს ერთობ სცილდება.

ერთი ცხადია: სეზონის დასაწყისში, მერე კი მის შუაგულში გუნდისთვის ავანსად გაცემული შეღავათები სულ ფუჭი გამოდგა. რესპუბლიკის სპორტული პრესის მართალია აქა-იქ მკაცრმა, მაგრამ უფრო ხშირად შემადგულიანებელმა, იმედის მომცემმა ტონმაც ვერ გამოიღო შედეგი. ამ შედეგში სულაც არ იგულისხმება, ვთქვათ, საპრიზო ადგილი ჩემპიონატში ან უფრო მეტი. გათამაშების ცხრილის შუაგულში მოხვედრა გუნდს მიუხედავად არაერთგზის აღნიშნული ყველა პრობლემისა - თაობათა ცვლა, ექსპერიმენტები - უნდა მოეხერხებინა და ვალდებულად იყო. ესეც არ იყოს - ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე დამაიმედებელ თამაშს ხომ არაფერი უშლიდა ხელს?! სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა და მომავალი საფეხბურთო სეზონიც რომ ტყუილუბრალო იმედებით არ გავლიოთ, დღესვეა საჭირო კარდინალური ზომების მიღება.

თავისთავად, ცალ-ცალკე, შეიძლება ფეხბურთელებიც კარგი გყავდეს, მწვრთნელებიც, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, იქნებ სუბიექტურისაც, მათი ერთად გარჯის ნაყოფი უნდილი, უსახური გამოდგეს, ასეთ ვითარებაში მტკივნეულიც იყოს. სხვა გზა არ არის, რაღაცას უნდა შეეღიო კაცი.

ან არ ვარჯიშობენ, ან არ უნდათ-მეთქი თამაში. ფაქტიურად, ეს ერთი და იგივეა, ფეხბურთელისთვის ვარჯიშისა და თამაშის სურვილს შორის განსხვავება არ უნდა იყოს. თუ სპორტსმენი ხარ, ერთიც გინდა და მეორეც, თუ არა და, რა გაეწყობა...

მაინც მგონია, რომ მთლიანად გუნდს (ან მის ნაწილს) რაღაც მიზეზის გამო არ სურს ვარჯიში თუ თამაში. ამას სხვაგვარად საფეხბურთო ცინიზმი ჰქვია. ასეთი ბრალდება მძიმეც არის და სარისკოც, მაგრამ არანაკლებ მძიმეა ათასობით ფეხბურთის მოყვარულის მდგომარეობა, "ზენიტთან" მატჩის შემდეგ კარგა ხანს გაოგნებული რომ იდგა ტრიბუნაზე.

ი. ბერიაშვილი.

"ლელო", 1 სექტემბერი, 1983 წ.